პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 285 (10061) | ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობა — ახალი ამოცანების ღონეზე

ადგილობრივი საბჭოების წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანებია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა საბჭოების დაძაბულ, თანმიმდევრულ და შეუპოვარ მუშაობას მოითხოვს. რესპუბლიკის ბევრმა რაიონულმა და სასოფლო საბჭომ მუშაობა გარდაქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გააუმჯობესა სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერა ზრუნვა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

რაისაბჭოს აღმასკომის სწორი და ნაყოფიერი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ოპერატიულად და საქმიანად ხელმძღვანელობს იგი სასოფლო საბჭოებს. სასოფლო საბჭოებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა რაისაბჭოს აღმასკომის პირდაპირი მოვალეობაა. რაიაღმასკომის დახმარებითა და ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილი და განმტკიცებული სასოფლო საბჭო კარგად არმევს თავს მის წინაშე დასმულ ამოცანებს, სოფელში იგრძნობა მისი ძალა, მისი ხელმძღვანელი როლი.

ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ასეთ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უთუოდ გრძნობს ხაბუმის სასოფლო საბჭო. ამ სოფლის კოლმეურნეობებიც დროზე და გადაჭარბებით ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს. კოლმეურნეობებმა სამი თვის წინათ შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან სასოფლო საბჭოს დეპუტატები. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც დეპუტატი შ. ჩალიგავა ხელმძღვანელობს, 25 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან გეგმით გათვალისწინებული 98 ტონის ნაცვლად 102 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. დეპუტატმა ქალმა შ. შენგელიამ 0.5 ჰექტარზე მოკრიფა 4.504 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 3.000 კილოგრამისა. მოწინავენი არიან დეპუტატები მ. შენგელია, ვ. ჩიქოვანი. სასოფლო საბჭოს ექვსმა დეპუტატმა ჩაობარა ანგარიში ამომრჩევლებს. სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენების მოსმენის, სათანადო ღონისძიებათა მიღებისა და ამ ღონისძიებათა შესრულების შედეგად კოლმეურნეობა დაწინაურდა — ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სოფელში იგრძნობა დეპუტატების აქტივობა.

მეჯვრისხევი ერთ-ერთი მოწინავე სოფელია გორის რაიონში, ეს ამ სასოფლო საბჭოსადმი რაისაბჭოს აღმასკომის კონკრეტული ხელმძღვანელობისა და საქმიანი დახმარების შედეგია. კეთილმოწყობილია სოფლის ცენტრი. სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ გეგმებს. კარგად მუშაობენ სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები.

მაგრამ ყველა რაისაბჭოს აღმასკომი როდი ეხმარება კონკრეტულად სასოფლო საბჭოებს. ზოგან ინსტრუქტორები მხოლოდ იმისათვის მიდიან, რომ შეამოწმონ კანცელარიის მდგომარეობა, ოქმების გაფორმება, სოფელში დამზადების გეგმების შესრულება. ისინი არ ეხმარებიან სასოფლო საბჭოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში, მასებთან კავშირის განმტკიცებაში.

მაგალითად, გეგეჭკორისა და დუშეთის რაისაბჭოების აღმასკომების მუშაკები ძალიან სუსტად ეხმარებიან სასოფლო საბჭოებს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამ რაიონების ზოგიერთ სოფელში არა ჩანს სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელი, ორგანიზატორული როლი. გეგეჭკორის რაიონის აბედათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მიქავა არ არის კოლმეურნეობათა ცხოვრების საქმის კურსში. საბჭო მოწყვეტილია კოლმეურნე მასებისაგან. ამიტომაც ადგილი აქვს ჩამორჩენებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. რაიაღმასკომი არაუსაკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს ამ გამსხვილებულ სასოფლო საბჭოს. დუშეთის რაიონის მლეთის სასოფლო საბჭო უმთავრესად საფინანსო და დამზადებათა გეგმების შესრულებისათვის ზრუნვით კმაყოფილდება, სოფლის კეთილმოწყობას კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ორი წელიწადია, რაც სოფელ ქვეშეთში მლეთის ჰიდროელექტროსადგურიდან გადამცემი ხაზი გაიყვანეს. ამაზე დიდძალი თანხა დაიხარჯა, მაგრამ კოლმეურნეებს ჯერ კიდევ არა აქვთ ელექტროშუქი — ხაზი დღემდე ჩართული არ არის. სოფლის საბჭოს მუდმივი კომისიები არ მუშაობენ. რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორს ვ. საღირაშვილს მისი პირდაპირი მოვალეობის საზღაზოდ ხშირად სხვადასხვა კოლმეურნეობაში გზავნიან „რწმუნებულად“.

ადგილობრივი საბჭოები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში უნდა ედგნენ სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვას.

აბა რა მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა კასპის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯიქურაძე) სესია პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებიდან მიმდინარე წლის ივნისამდე არ მოწვეულა? წელს კასპის რაისაბჭოს აღმასკომს ერთხელაც არ განუხილავს საკითხი სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ. იგი სავსებით არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, ერთხელაც არ მოუსმენია ცალკეულ, კერძოდ ჩამორჩენილ, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ანგარიში. ასეთი ცუდი მუშაობის შედეგია ის, რომ რაიონი ჩამორჩა, მეტად დაბალია ხორბლის, სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, დაეცა მესაქონლეობის სულადობა და პროდუქტიულობა.

სოფლად პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო უკეთ დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ოპერატიულად, საქმიანად და შეუპოვრად იმუშავებენ ადგილობრივი საბჭოები, თუ როგორ ამაღლდება რაისაბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებისადმი.

ადგილობრივი საბჭოები სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად განუხრელად უნდა ზრუნავდნენ სოფლად სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საავადმყოფოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სოფლის კეთილმოწყობისათვის.

ამჟამად გაჩაღებულია მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია უმთავრესად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების უნარიან მუშაობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან საარჩევნო ოლქებისა და პუნქტების მუშაობისათვის. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს საბჭოების აღმასკომები წყვეტენ. საბჭოების აღმასკომებმა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა უზრუნველყონ მთელი საარჩევნო კამპანიის ორგანიზებულად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარება.

ადგილობრივი საბჭოები ყოველთვის უნდა იდგნენ თავიანთი პასუხსაგები ამოცანების სიმაღლეზე, კვალიფიციურად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, შემდგომ განმტკიცებდნენ კავშირს მასებთან, რაც ჩვენი ძალისა და ძლიერების წყაროს წარმოადგენს.

ამხ. ა. ი. მიქოიანი მოსკოვს დაბრუნდა

1 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიქოიანი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ს. ა. ბორისოვის, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსის ვ. ფ. ბურხანოვისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის საინფორმაციო ბიუროს პასუხისმგებელი თანამშრომლების ამხ. ნ. ი. ჩეკლინისა და მ. კ. არტემიევის თანხლებით მოსკოვს დაბრუნდა ფინეთიდან, სადაც გაემგზავრა ფინეთის მთავრობის მიწვევით. (საკდესი).

ზესტაფონის მტს-მა მზრალად ხვნის გეგმა გაღაჭარბებით შეასრულა

ზესტაფონის მტს-მა გადაჭარბებით გაანაღდა მზრალად ხვნის დავალება. მოხნულია 1.112 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450 ჰექტარისა.

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

30 ნოემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა მშენებელთა, არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

თათბირში მონაწილეობს 2.200 კაცი, მათ შორის — ტრესტების, მმართველები და მთავარი ინჟინრები, მშენებლობათა და სამმართველოთა უფროსები, სამუშაოთა მწარმოებლები და ოსტატები, ბრიგადირები და მუშები, საშენი მასალებისა და სამშენებლო მანქანების მრეწველობის ქარხნების დირექტორები, დამპროექტებელ ორგანიზაციათა, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკები, არქიტექტორები, მშენებლობათა, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მოკავშირე და რესპუბლიკური სამინისტროების, საგეგმო და საფინანსო ორგანოების მუშაკები.

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი,** რომლებსაც შეკრებილნი ფეხზე ადგომით მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თათბირის პრეზიდიუმში არიან: ცნობილი ნოვატორი — აგურის ჩქაროსნული გამოწვის ინსტრუქტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ა. დუკანოვი, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი ი. ვ. ჟოლტოვსკი, ინსტიტუტ „ორგსტროის“ დირექტორი სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ი. მალცევი, № 1 ქარხანა „სტროიდეტალის“ მეარმატურე მ. ი. პანინა, ცნობილი ნოვატორი, კალატოზების ბრიგადირი ი. მ. რახმანინი, სტალინგრადის ჰესის მშენებლობის მეექსკავატორე სოციალისტური შრომის გმირი დ. ა. სლეპუზა, დიდბლოკიანი მშენებლობის მემონტაჟე პ. გ. ჩუდინოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. პ. შირკოვი, კუიბიშევის ჰესის მშენებლობის უფროსი ი. ვ. კომზინი და სხვები.

საბჭოთა მშენებლები გულითადად მიესალმნენ უცხოელ სტუმრებს, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით. დარბაზში არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლები.

თათბირს ხსნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. მ. სოკოლოვი.

თათბირი ამტკიცებს დღის წესრიგს. პლენარულ სხდომებზე მოსმენილ და განხილულ იქნება რვა მოხსენება მშენებლობის სხვადასხვა პრობლემის შესახებ. დასახლოდა თერთმეტი სექციის სხდომებზე განხილულ იქნას სამრეწველო, სატრანსპორტო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების, მშენებლობის ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციის და სხვა საკითხები.

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების, სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდებისა და ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, დიდი ბლოკებისა და ეფექტიანი მასალების გამოყენების, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა იძლევა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრს ამხ. **ნ. ა. დიგაის.**

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მიღწევებში, აღნიშნავს მომხსენებელი, დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა მშენებლებმა. მარტო ომისშემდგომ პერიოდში კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 900 მილიარდზე მეტი მანეთი. აღდგენილ იქნა, აშენდა და მწყობრში ჩადგა რვა ათასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო, ბევრი სკოლა, საავადმყოფო და სხვადასხვა კომუნალური ნაგებობა. ქალაქებისა და დაბების მუშებმა და მოსამსახურეებმა მიიღეს 200 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი; კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის აშენდა ოთხნახევარ მილიონამდე სახლი.

მშენებლებმა შეიძინეს ქარხნების, თბოელექტროსადგურების, ურთულესი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, აგრეთვე საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების მშენებლობის დიდი გამოცდილება. მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია, რაც აფერხებს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. აჭიანურებენ მშენებლობის ვადებს, ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ მექანიზმებს, მაღალია მშენებლობის ღირებულება, ჯეროვნად ვერ აფასებენ ტიპურ დაპროექტებას, ძცირე რაოდენობით აწარმოებენ ასაწყობ რკინაბეტონს, დიდია ლითონისა და ხე-ტყის ხარჯვა.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს და ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებას. ამხ. დიგაიმ ბევრი მაგალითი დაასურათა, თუ რა დიდი შესაძლებლობანი ისახება ამასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ შემცირდეს მშენებლობის შრომატევადობა, დაჩქარდეს მისი ვადები, მიღწეულ იქნას ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომია. მაგალითად, № 17 ტრესტმა ააგო 16,5 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სამრეწველო კორპუსი, ამასთან მშენებლობაში გამოიყენა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დიდი გადახურვანი და ეს სამუშაო სამჯერ უფრო სწრაფად შეასრულა, ვიდრე ჩვეულებრივი წესით შენების დროს.

ამხ. დიგაი შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიიღეს პარტიამ და მთავრობამ მშენებლობის ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ამენდება 402 ახალი ქარხანა და 200 პოლიგონი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოებისათვის. ახალ საწარმოთა ამუშავება უახლოეს ორ წელიწადში უზრუნველყოფს იმას, რომ აშენდეს 14,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, 6,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი სამრეწველო შენობათა ფართობი და 8,4 მილიონი კვადრატული მეტრი სასოფლო-სამეურნეო შენობათა ფართობი.

მომხსენებელი შეეხო სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლების საკითხებს, როგორც ასაწყობი რკინაბეტონის და მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების მასობრივად დანერგვის ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას. ამ საქმის წარმატება, თქვა მან, მთლიანად დამოკიდებულია მანქანებისა და მექანიზმების სწორ გამოყენებაზე, რომლებითაც სულ უფრო მეტად იარაღდებიან მშენებლობები, მაგრამ ამ მექანიზმებს ყველგან როდი იყენებენ წარმადობით. დიდი სამშენებლო მანქანების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზი ის არის, რომ ისინი გაფანტული არიან ბევრ მშენებლობაზე. საჭიროა მექანიზაციის საშუალებებს თავი მოვუყაროთ სპეციალიზებულ ორგანიზაციებში.

მშენებელთა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნით არქიტექტორებს. იმის შედეგად, რომ არქიტექტორთა ერთი ნაწილი მოწყვეტილია მშენებლობის არსებით ამოცანებს, სამრეწველო საწარმოთა შენობებისა და საცხოვრებელი სახლების მასობრივი აშენება უზრუნველყოფილი ვერ არის ტიპური პროექტებით. ახლა საცხოვრებელი სახლების ნახევარზე მეტს აშენებენ ინდივიდუალური პროექტებით, რაც მნიშვნელოვნად აჭიანურებს მშენებლობის ვადებს, აძვირებს მის ღირებულებას.

ამხ. დიგაიმ შემდეგ აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილების ურთიერთ გაცვლას მშენებელთა შორის.

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებებზე, სამრეწველო მშენებლობის ტიპიზაციისა და უნიფიკაციის დარგში დამპროექტებელ, სამეცნიერო-საკვლევ და სამშენებლო ორგანიზაციათა ამოცანებზე მოხსენება გააკეთა მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ამხ. **დ. ი. რაიზერმა.**

მან აღნიშნა, რომ სამინისტროს განკარგულებაშია მძლავრი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები და მუშათა, ოსტატთა, ინჟინერთა გამოცდილი კადრები. მშენებლობათა უმრავლესობა აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფართოდ იქნას მექანიზებული მშენებლობის მძიმე და შრომატევადი პროცესები. მაგრამ სამინისტრო წლითიწლობით ვერ ასრულებს სამრეწველო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებებს. ეს იმის შედეგია, რომ მშენებლობებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე ჩამორჩება თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის გადიდებულ მოთხოვნებს. ნელი ტემპით ვრცელდება მშენებელთა მოწინავე გამოცდილება.

ბევრ მშენებლობაზე, ამბობს მომხსენებელი, ძირითადი სამუშაოები ხორციელდება ისე, რომ საკმაოდ არ არის მომზადებული, რადგანაც აქამდე არ არის დაკანონებული ტექნოლოგიური წესები და სხვადასხვა საწარმოს, შენობისა და ნაგებობის მშენებლობის ხანგრძლივობის სავალდებულო ნორმები. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად შეევიმუშაოთ ეს ნორმები და წესები. სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვირეულ-სადღეღამისო გრაფიკს. ასეთი გრაფიკით მუშაობა უზრუნველყოფს იმას, რომ თანაბრად შესრულდეს მშენებლობის თვიური, კვარტალური და წლიური გეგმები, შესაძლებლობას იძლევა უკეთ მოეწყოს მუშათა შრომა, გადიდდეს სამშენებლო მანქანებისა და ტრანსპორტის სამუშაოთა მექანიზაციას. მთელ რიგ შემთხვევებში მანქანებს ცუდად იყენებენ, რაშიც ბრალი მიუძღვით თვითონ მშენებლებს, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ მექანიზმებს. მაგრამ სერიოზული პრეტენზიები უნდა წავუყენოთ მანქანათმშენებლებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ უშვებენ ბევრი ტიპის მანქანებს, რომლებიც საჭიროა სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის დიდი ნაკლია ის, რომ არადამაკმაყოფილებლად იზრდება შრომის ნაყოფიერება. საჭიროა ავამაღლოთ ოსტატთა და სამუშაოს მწარმოებელთა როლი, გავხადოთ ისინი სრულუფლებიან ხელმძღვანელებად მათთვის მინდობილ უბნებზე.

ამხ. დ. ი. რაიზერი დაწვრილებით შეეხო სამრეწველო მშენებლობის ტიპიზაციისა და უნიფიკაციის საკითხებს. ამ დარგში დიდი ნაკლოვანებებია. მაგალითად, მეტალურგიული ქარხნის დაპროექტებაზე მუშაობს თხუთმეტზე მეტი დამპროექტებელი ინსტიტუტი და ყოველ მათგანს აქვს ტიპური პროექტების თავისი ალბომები, რომლებიც ერთმანეთთან არ არის შეთანხმებული. ტიპიზაციის განხორციელებას კი კარგი შედეგები მოაქვს. სამინისტროს ერთ-ერთმა ინსტიტუტმა წელს განიხილა მანქანათმშენებელი მრეწველობის ძირითადი საამქროების 600 ინდივიდუალური პროექტი, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეასრულეს. როგორც გამოირკვა, სრული შესაძლებლობაა, რომ ეს 600 პროექტი დავტოოთ 26 გაბარიტულ სქემაში, ისე, რომ არ გაუარესდეს ტექნოლოგიური პროცესი და არ გაძვირდეს სამშენებლო კონსტრუქციები.

30 ნოემბრის საღამოს სხდომაზე მოხსენება სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებებისა და რკინიგზების, ხიდების, გვირაბებისა და ნავსადგურების მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების შესახებ გააკეთა სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ე. ფ. კოუევნიკოვმა.**

სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, დაკავშირებულია რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის ახალ მშენებლობასთან. განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული მშენებელთა წინაშე ურალისა და ციმბირის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით ახალი რკინიგზის ხაზების გაყვანისა და არსებულთა გაძლიერების დარგში.

მუშობის ტემპის გაძლიერებაში, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და ღირებულების შემცირებაში დიდი მნიშვნელობა ექნება ტრანსპორტის სამშენებლო და დამპროექტებელი ორგანიზაციების გაერთიანებას ერთ სამინისტროში.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან, ტრანსპორტის სამშენებლო ორგანიზაციების ინდუსტრიული ბაზის განვითარებასთან. გადაწყვეტილია სამინისტროს ასაწყობი რკინაბეტონის დამამზადებელ საწარმოთა სიმძლავრე 1955-1956 წლებში გადიდდეს ერთიოთხად და უფრო მეტად. აშენდება, გაფართოვდება და რეკონსტრუირებულ იქნება 16 ქარხანა, რომლებიც აწარმოებენ საერთო სამშენებლო დეტალებს და რკინაბეტონის კონსტრუქციებს ხიდების, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე ტრანსპორტის სამშენებლო ორგანიზაციებმა ერთგვარ შედეგებს მიაღწიეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში. მაგრამ მუშათა შრომის ნაყოფიერება სატრანსპორტო მშენებლობაში მეტად ნელა იზრდება. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ დიდი მოცულობის სამუშაოები ჯერ კიდევ ხელით სრულდება.

ამხ. კოუევნიკოვმა ილაპარაკა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებზე. იზრდება რკინიგზის ლიანდაგის ცალკეული რგოლების დამამზადებელი მექანიზებული ბაზების რაოდენობა, ლიანდაგის დაგებათა რაოდენობა, მკვეთრად იზრდება ხიდების, ვიადუკების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადება. უახლოეს წლებში უნდა შესრულდეს დიდი სამუშაოები ყველაზე უფრო დატვირთული რკინიგზების ელექტროწევაზე გადასაყვანად. საწევი ქვესადგურებისა და საკონტაქტო ქსელის მშენებლობაც ინდუსტრიული მეთოდებით განხორციელდება.

მოხსენება სამშენებლო და დამპროექტებელი ორგანიზაციების ამოცანებზე საქალაქო და სასოფლო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების, ეფექტიანი და ადგილობრივი მასალების, ასაწყობი დეტალებისა და კონსტრუქციების გამოყენების დარგში და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ი. კ. კოზიულიამ.**

მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები ასრულებენ საცხოვრებელი სახლების, ახალი სკოლების, საავადმყოფოების, სიბავშვო ბაღებისა და ბაგების, კლუბებისა და კულტურის სახლების, საწარმოო და სხვა ნაგებობათა მშენებლობის დიდ პროგრამას. მომავალ წელს მშენებლობის მოცულობა ნიშნავლოვნად გაფართოვდება. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ანგარიშობენ სამინისტროს ორგანიზაციები ერთიანად, ერთიანად, ერთიანად,

საკოლმეურნეო შრომის დღესასწაული

მახარაძის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ნათლად ასახავს იმ წარმატებებს, რომლებიც რაიონის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოიპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გამოფენაზე წარმოდგენილია რაიონის ოცდათერთმეტივე კოლმეურნეობა, ექვსი საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ურეკის სახელმწიფო სანერგე, სამრეწველო კომბინატი, აბრეშუმის ფაბრიკა, ფაიფურის ქარხანა და სხვ.

ფართოდ არის წარმოდგენილი შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა. შრომელები სასახელო მაჩვენებლებით ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს. კოლმეურნეობის სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ჩაის კულტურა, რომელიც 354 ჰექტარზეა გაშენებული, აქედან 272 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წელს კოლმეურნეებმა 1.130 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს მრეწველობას, გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს, საშუალოდ ჰექტარზე 5.263 კილოგრამი ნედლეული მიიღეს.

ჩვიდმეტი წელია შრომელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. დარბაზში ერთ-ერთ სტენდზე ალისფერი დროშაა გამოფენილი. იგი პარტიის გენიჩესკის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშაა, რომელიც დაწესებულია მახარაძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობისათვის. ეს დროშა ბეჯითი, დაუღალავი შრომის შედეგად დიდი ხანია მოიპოვეს შრომელმა კოლმეურნეებმა.

წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 800.000 ცალზე მეტი მანდარინი. დიდი მიღწევებია მეცხოველეობაში. შარშანდელთან შედარებით წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 450 კილოგრამით მეტი რძე, ფუტკრის თვითეულ ოჯახზე მიიღეს 16,2 კილოგრამი თაფლი.

გამოფენაზე მაღალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. ნატანებელმა კოლმეურნეებმა სახელი გაითქვეს ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავლით. 1940 წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 3.180 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო, წელს კი — 5.146 კილოგრამი.

სურათზე: მახარაძის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ცენტრალური პავილიონი. ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

◁ ★ ▷

დაწინაურდა კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც კ. თავაძე ხელმძღვანელობს. 8,86 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე ბრიგადამ წელს 6.367 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

დიდ წარმატებას აღწევს რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის ოსტატი დარეჯან ტაკიძე ხელმძღვანელობს.

გამოფენაზე ფართოდ არის ნაჩვენები ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა. ძიმითელები ამაყობენ შეჩაიების, მეცხოველეობის, ერთწლიანი კულტურების დარგში მოპოვებული წარმატებებით. მათ წელს სამშობლოს 736.790 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს და გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულეს, თვითეული საფურაქე ძროხაზე შარშანდელთან შედარებით 200 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს.

საამაყო მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილი სოციალისტური შრომის გმირები ე. მგელაძე, თ. ტუღუში, გ. მგელაძე, ს. ქურიძე და სხვები.

სტენდებზე ეცნობით მელექედურის სტალინის, თხინვალის ლესელიძის, ჯუმათის სტალინის, ნაღობილევის ტელმანის, ცხემლისხიდის ანდრეევის, ექადიის ჩკალოვის, ბახვის მარქსის, ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობების, ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე ნარუჯის ჩაისა და ურეკის ლომონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობების წარმატებებს.

აქ მნახველი ეცნობა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმატებებს.

1954 წელს რაიონის მშრომელებმა სამშობლოს 22.165.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.660 კილოგრამი ხედლეული. რაიონში ამჟამად მოქმედებს 11 ჩაის ფაბრიკა.

მეცხოველეობა მახარაძის რაიონში მეტად ჩამორჩენილი დარგი იყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობებში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. შეჰყურებთ გამოფენაზე წარმოდგენილ ცოცხალ ექსპონატებს და გული სიხარულით გევსებათ... ხედავთ საუკეთესოდ მოვლილ მაღალპროდუქტიულ ძროხებს, რომლებიც ლაქტაციის პერიოდში 3-4-5 ათას კილოგრამ რძეს იძლევიან. აქვე წარმოდგენილი არიან ბუდა-მწარმოებლები, გაუმჯობესებული ჯიშის ულაყები, ფაშატები, ღორები, ფრინველები.

წელს რაიონში შარშანდელთან შედარებით თვითეულ ძროხაზე მიღებულია 256 კილოგრამით მეტი რძე. შეძენილია ერთი წლის ასაკის 582 სული გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვი, აგებულია 14 კაპიტალური სადგომი, საღორეები, საფრინველეები. დამზადებული 4.000 ტონა სილოსი.

მახარაძელებისათვის საამაყოა, რომ გასული წლების მაჩვენებლებით რაიონი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო ფართო ჩვენებით. მომდინარე წლის წარმატებანი იმას მოწმობს, რომ რაიონი 1955 წელსაც იქნება გამოფენის მონაწილე.

მდიდარი ტექნიკით არის წარმოდგენილი მტს-ი. აქ არის მძლავრი ამომძირკვავ-შემგროვებელი მანქანა, რომელსაც ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციების გასაშენებელი ნიადაგის მოსამზადებლად იყენებენ. ეს მანქანა დიდძალ მუშახელს ცვლის. მის მიერ მომზადებული ნიადაგის ყოველი ჰექტარი 6.000 მანეთით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივად ხელით მომზადებისას. აქვეა სიმინდის მოსავლის ასაღები კომბაინი „კუ-2“, სიმინდის სათესი „სშ-6“, ჩაის უნივერსალური სამთო მანქანა „ჩუგ-1,6“, ჩაის თვითმავალი საფუმგაცო მანქანა „ჩსმ-12“, ტრაქტორი „ბელარუსი“ და სხვა მანქანები.

მაგრამ, როგორც მეჩაიეები ამბობენ, ასეთი ძვირფასი მანქანები ცოტაა. ამომძირკვავ-შემგროვებელი მძლავრი მანქანა, რომელიც მოწყობილია ტრაქტორ „ს-80“-ზე, მტს-ს არც ერთი ცალი არა აქვს. „ჩსმ-12“ სისტემის მხოლოდ ორი მანქანაა, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ტრაქტორ „ბელარუსით“ სრულდება ერთწლიანი კულტურების თესვა, ფარცხვა, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების რიგთა შორის დამუშავება, სოიის ლეწვა, სილოსის ჩაღება და სხვ. მაგრამ ეს მეტად საჭირო მანქანა მტს-ს მხოლოდ ერთი ცალი აქვს.

• • •

რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნის პირველ დღეს 10.000-ზე მეტმა მშრომელმა დაათვალიერა. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები გულდასმით ეცნობიან მომდინარე სამეურნეო წელს მოპოვებულ წარმატებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მომავალში უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად.

ვ. ჯაჟელი,
მახარაძის რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქტორი.

კომუნიზმისათვის თავდადებული მეჯაჭვეები

20 წლის წინათ, 1934 წლის დეკემბერში იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტების — ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელთა ხელით მუხანათურად მოკლულ იქნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი ს. მ. კიროვი.

სერგეი მირონის-ძე კიროვი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე იყო. დიდია მისი დამსახურება საბჭოთა წყობილების გამაძლოვებისა და განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში.

კიროვი ჭაბუკობიდანვე ჩაება მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მთელი თავისი სიცოცხლე ამ საკაცობრიო საქმეს მოახმარა.

ცნობილია, თუ რა პასუხსაგებ საქმეებს ანდობდა პარტია ს. მ. კიროვს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში. რევოლუციის პირველ ხანებში, როცა ს. მ. კიროვი ასტრახანის რევკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, პირველი მსოფლიო ომის შედეგად მოშლილი სამეურნეო ცხოვრების, ფრონტიდან და ზურგიდან თეთრგვარდიელთა შემოტევის რთულ ვითარებაში შეუპოვრად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მშრომელი მასების დასარაზმავად. კიროვი გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა ხალხს. ფრონტის მოწინავე ხაზზე ყოფნის დროს იგი თავგანწირული ბრძოლის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა და მორალურად განამტკიცებდა ტექნიკის, საჭურვლისა და სურსათის მხრივ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მებრძოლებს. ამან ხელი შეუწყო მტრის დამარცხებას.

ასტრახანთან გამარჯვების შემდეგ ს. მ. კიროვი სერგო ორჯონიკიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა საბჭოთა არმიის ნაწილებს კავკასიის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ს. მ. კიროვი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. დიდია მისი როლი ამიერკავკასიის ხალხების დარაზმვის საქმეში კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, დიდი რუსი ხალხის გარშემო. განუხრელად ახორციელებდა რა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, სერგეი მირონის-ძე დაუნდობლად ამხელდა ტროცკისტებს. ნაციონალისტებს და ყველა [illegible] ხალხის მტრებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხაზის ერთგული ს. მ. კიროვი არ ინდობდა სოციალიზმის მტრებს, კაპიტალიზმის რესტავრატორებს. იგი იბრძოდა პარტიის რიგების ერთიანობისათვის. ს. მ. კიროვს, როგორც გამობრძმედილ კომუნისტს და უანგარო სახელმწიფო მოღვაწეს, პარტია ანდობდა ჩვენი ქვეყნის უადრესად პასუხსაგებ უბნებს. პარტიის XIV კონგრესის მიერ იგი გაგზავნილ იქნა ლენინგრადში. მისი მეთაურობით ლენინგრადელმა კომუნისტებმა დამარცხეს ტროცკისტ-ზინოვიეველი გამცემლები, კიდევ უფრო შეეჭიდროდნენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ლენინგრადი, საბჭოთა კავშირის ეს უდიდესი სამრეწველო ცენტრი, მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. ლენინგრადის ოლქში კიროვი უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა მუშებსა, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას შორის. მის სახელთან დაკავშირებულია თეთრი ზღვა — ბალტიის ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობა. მშრომელ მასებს გულითადად უყვარდათ გზშნებარე ტრიბუნი, გულისხმიერი, პრინციპული და პოლიტიკურად შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელი.

სერგეი მირონის-ძე მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამოჩენილი პროპაგანდისტი იყო. იგი თავის უკანასკნელ გამოსვლებში გონებამახვილურად ამხილებდა იმპერიალიზმის ბრიკეტს, გმობდა ომის გაჩაღებლებს, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა სოციალისტური წყობილების უძლეველობასა და კომუნიზმის გამარჯვებაზე, იმ საამურ ცხოვრებაზე, რომელიც საბჭოთა ადამიანმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა.

რწმენით აღსავსე თავისი სიტყვებით სერგეი მირონის-ძე ყოველთვის აღფრთოვანებდა მასებს პატრიოტული საქმეებისათვის, ახალი შრომითი გმირობისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელები სათუთად ინახავენ გულში ს. მ. კიროვის ხსოვნას. კომუნიზმის დიადი საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის მაგალითი აღფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და მისი ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

გარდავეხა აგურის ქარხნების მუშაობაში

ორი თვის წინათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ თბილისში გამართა რესპუბლიკის აგურის ქარხნების მოწინავე მუშების, ოსტატებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების თათბირი აგურის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში ურთიერთისათვის გამოცდილების გასაზიარებლად. თათბირის მონაწილეებმა რესპუბლიკის აგურის მრეწველობის მუშაკებს მიმართეს მოწოდებით ხელი შეუწყონ პ. დუვანოვის ნოვატორული მეთოდით მუშაობის ფართოდ დანერგვას, უზრუნველყონ მშენებლებისათვის მეტი მაღალხარისხოვანი აგურის მიწოდება.

თათბირის შემდგომ განვლილ დროში მთელი რიგი აგურის ქარხნების კოლექტივებმა შეძლეს მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესება, აგურის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდება. ქვემოთ ვთავსებთ ინფორმაციებს ორი ქარხნის მუშაობის შესახებ.

პ. დუვანოვის მეთოდით

საბურთალოს აგურის მექანიზებული ქარხანა ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. სტალინური პრემიის ლაურეატის პ. დუვანოვის მეთოდის დანერგვას აქ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქციეს და ამის შედეგად შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა კოლექტივმა აგურის ქარხნების მოწინავე წარმომადგენელთა რესპუბლიკური თათბირის შემდგომ პერიოდში, როდესაც წარმოებაში მასობრივად დანერგეს აგურის გამოწვის ოსტატთა მოწინავე გამოცდილება.

ღუმელებში აგურის ჩაწყობის რაციონალური ხერხის გამოყენებისა და ცეცხლის რეჟიმის გაუმჯობესების შედეგად წრიული ღუმელის მოცულობის ყოველი კუბმეტრის მიხედვით ამჟამად იღებენ 1.650 ცალ აგურს ნაცვლად წინანდელი 900 ცალისა, ხოლო ზიგზაგის ტიპის ღუმელიდან — 1.040-1.050 ცალს ნაცვლად 670 ცალისა.

აგურის გაჩოწვის ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად საბურთალოელმა მეაგურეებმა 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმა და ამ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 35.000 ცალი წითელი აგური. მშენებლობებისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 524.000 ცალი გამომწვარი აგური.

ნეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად ქარხნის კოლექტივმა იკისრა მომავალი წლის ხოლომდე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 მილიონი ცალი აგური, შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის ხოლოსთვის გაადიდოს 20 პროცენტით 1950 წელთან შედარებით და ამავე დროს პროდუქციის თვითღირებულება შეაჩიროს 23 პროცენტით. ამასთან ქარხნის კოლექტივმა იკისრა მომავალ წელს ქარხანასთან მოაწყოს ფართო მოხმარების კერამიკული ჭურჭლის საამქრო.

ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლაში პირველი წარმატებები მოიპოვეს აგურის გამომწველებმა, ჩამწყობებმა და დამყალიბებლებმა — მ. როსტიაშვილმა, კ. ძებისაშვილმა, შ. ძამაშვილმა, უ. ფხალაძემ და ა. სტარჩენკომ.

სეზონურობის ლიკვიდაციის შემდეგ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ღრმაღელის მესამე აგურის ქარხანაში უკვე გადავიდნენ წლიურ განუწყვეტელ მუშაობაზე, მიაღწიეს აგურის დაყალიბებაში სეზონურობის ლიკვიდაციას. ამან დიდად შეუწყო ხელი ქარხნის კოლექტივს აგურის გამოშვების გადიდებაში.

აგურის გამოშვების გადიდებას ხელი შეუწყო აგრეთვე ალიზის დაყალიბების, ღუმელში ნედლი აგურის ჩაწყობისა და გამოწვის საქმეში ნოვატორული მეთოდების გამოყენებამ. აგურის გამოწვისას პ. დუვანოვის მეთოდის გამოყენების შედეგად შესაჩნევად გაიზარდა ღუმელების წარმადობა. თუ წინათ ღუმელის მოცულობის ყოველი კუბმეტრის მიხედვით გამომწვარი აგურის გადმოღება 1.200 ცალს არ აღემატებოდა. ახლა 1.600 და ზოგჯერ მეტი რაოდენობის აგურს იღებენ. წარმატებით შეუდგნენ აქ ქარხანაში ღრუ, ფორებიანი აგურის გამოშვებას. ასეთი აგურის დაყალიბებაზე ნედლი ალიზი ნაკლები რაოდენობით არის საჭირო, თან აგური ბევრად მსუბუქი გამოდის, უკეთესად ხდება მისი გამოწვა, მამასადამე, ღრუ აგურის ხარისხი მაღლდება.

ოქტომბერში ქარხნის კოლექტივმა თბილისის ახალმშენებლობათათვის თვიური გეგმის გადამეტებით 135.100 ცალი კარგი ხარისხის გამომწვარი აგური გამოუშვა. წარმატებით იმუშავეს ნოემბერშიც.

ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნაკისრი აქვს ხუთწლედის დავალება გაანაღდოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის.

ვ. ჯოხაძე, გ. გეგეშიძე.

მოწინავე ფერმა

ბათუმი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის სულადობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის წლიური გეგმები. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 1 ოქტომბრისათვის მიღებული იყო 92.256 კილოგრამი რძე ნაცვლად 85.000 კილოგრამისა.

განსაკუთრებით თავი ისახელეს მწველავებმა ე. ბერიძემ, მ. ჰბუსერიძემ, მ. ბერიძემ, გ. ხოლქვაძემ, ე. მახარაძემ, ი. ხოლქვაძემ, ნ. ეუტოვნა. ასე მაგალითად, ე. ბერიძემ ძროხა „კარმენისაგან“ წელს მიიღო 4.571 კილოგრამი რძე, მ. ჰბუსერიძემ ძროხა „მოლვინასაგან“ — 3.414, მ. ბერიძემ „ნოჩკასაგან“ — 3.162 კილოგრამი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საჭიროა დამატებითი ავტობუსები“

„კომუნისტის“ 13 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია „საჭირო დამატებითი ავტობუსები“. კორესპონდენციაში რუსთაველის წმრომელები მოითხოვდნენ თბილისი-რუსთავს შუა დამატებითი ავტობუსების დანიშვნას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრი ამხ. თ. დავითაშვილი რედაქციას აცნობებს, რომ დამატებით გამოიყო ავტობუსები თბილისი-რუსთავის ხაზზე.

კონსულტაცია

ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით

ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა პარკი შეივსო ახალი მძლავრი ტრაქტორებით, კომბაინებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რომლებიც კონსტრუქციით ძნიშნელოვნად განსხვავდებიან ძველი მარკის მანქანებისაგან. მათი კვანძები და დეტალები უფრო რთული აგებულებისაა, რომელთა მეკეთება რემონტის ნაღალ კულტურასა და კვალიფიციურ კადრებს მოითხოვს.

რემონტის ძველი ბრიგადული წესით სატრაქტორო ბრიგადა საკუთარი ძალებით არემონტებდა მასზე მიმაგრებულ ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ბრიგადული რემონტი ვერ უზრუნველყოფდა ტრაქტორების მაღალხარისხოვნად შეკეთებას და არ იძლეოდა დაზგა-დანადგარებისა და კვალიფიციური კადრების სრულად გამოყენების საშუალებას.

ყოველივე ამან შექმნა რემონტის ახალ პროგრესულ მეთოდზე გადასვლის აუცილებლობა. დაინერგა ტრაქტორების კვანძური მეთოდით რემონტი.

კვანძური მეთოდით რემონტი უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ძნიშნელოვნად გადიდებას, მანქანების მაღალხარისხოვნად შეკეთებას, დაზგა-დანადგარების რაციონალურად გამოყენებას, რემონტის ვადების და თვითღირებულების შემცირებას.

რემონტის კვანძური მეთოდის წარმატებით გამოყენებისათვის საჭიროა თვითეულ მტს-ში დამუშავდეს რემონტის რაციონალური საწარმოო პროცესი, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ჩამოყალიბდეს საჭირო საამქროები, განყოფილებები და სამუშაო ადგილები, აღიჭურვოს ისინი სათანადო მოწყობილობით, სამარჯვებითა და იარაღებით, სამუშაო ადგილები დაკომპლექტდეს კვალიფიციური მუშებით.

სარემონტო სახელოსნოში ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე უნდა მოეწყოს ტრაქტორების ასაწყობი საამქრო — გარეგანი გაპარეცხი, დასაშლელი, დეტალებისა და კვანძების გასარეცხი, ძრავების სარემონტო, ტრაქტორების ასაწყობი, გამოსაცდელი, ელექტროშემკეთებელი, საწვავის აპარატურის სარემონტო და სასპილენძო-სასმსმელო განყოფილებებით; სარემონტო მექანიკური საამქრო — საზეინკლო, სამჭედლო და შესადუღებელი განყოფილებებით; აგრეთვე კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო საამქრო.

რემონტის დაწყებამდე აუცილებელია შედგეს მტს-ის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის კალენდარული გეგმა. იგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოფდეს სახელოსნოს თანაბარ დატვირთვას მთელი პერიოდის განმავლობაში.

რემონტის კვანძურ მეთოდზე გადასვლისას საჭიროა მოეწყოს სახელოსნოს დაგეგმვა ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს კვანძური მეთოდით რემონტის მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფდეს დაზგა-დანადგარების და სახელოსნოს ფართის უფრო ეფექტიურ გამოყენებას. ყველა სამუშაო ადგილი სახელოსნოში უნდა განლაგდეს რემონტის ტექნოლოგიური პროცესის სქემის შესაბამისად. ამით თავიდან ავიცილებთ დეტალებისა და კვანძების ზედმეტ გადაზიდვას. დაგეგმვის დროს შესაძლებლობის მიხედვით უნდა ვერიდოთ სახელოსნოს შენობის კაპიტალურ გადაკეთებას.

სარემონტო სამუშაოთა ხარისხის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას საკონტროლო ხელსაწყოებით და კონტროლის სწორად მოწყობას. არც ერთი დეტალი და კვანძი არ უნდა დავაყენოთ ტრაქტორზე წინასწარ გულდასმით შეუმოწმებლად.

კვანძური მეთოდით რემონტის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით მტს-ის ტიპურ სახელოსნოში გათვალისწინებულია 32 სამუშაო ადგილის ჩამოყალიბება, ხოლო არატიპურ სახელოსნოებში მუშავდება სამუშაო ადგილების განლაგების საკუთარი სქემა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

იმ შემთხვევაში, როცა ცოტა ტრაქტორია შესაკეთებელი, ასეთ სახელოსნოში ერთმანეთის მსგავს სარემონტო სამუშაოებს ერთ საერთო სამუშაო ადგილად ვაერთიანებთ, რითაც მცირდება სამუშაო ადგილების რაოდენობა. ამასთან უნდა გვახსოვდეს — რაც უფრო ნეტი სამუშაო ადგილი იქნება სახელოსნოში, მით უკეთ გამოვლინდება კვანძური მეთოდით რემონტის უპირატესობა და უფრო მაღალი იქნება მოწყობილობებისა და კვალიფიციური მუშახელის გამოყენების ეფექტიანობა.

რემონტის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით პირველ სამუშაო ადგილზე ხდება ტრაქტორის გარეგანი გარეცხვა და გაწმენდა, ნეორეზე — ტრაქტორის დაშლა კვანძებად, მესამეზე — ძრავის დაშლა, მეოთხეზე — კვანძებისა და დეტალების გარეცხვა და ა. შ. ყველა ამ სამუშაოს მიმაგრებული მუშები ასრულებენ. ისინი კარგად ხელოვნდებიან ტრაქტორის განსაზღვრული კვანძის შეკეთების სამუშაოებზე. ეს დიდ როლს ასრულებს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

საქართველოს მტს-ების სარემონტო სახელოსნოებს ყოველწლიურად ეცვლება ახალი ტექნიკა. წელს მათ მიიღეს 26 სახარატო ჩარხი, 30 დიზელის აპარატურის სარეგულაციო სტენდი, 17 პნევმატიკური ურო და მრავალი სხვა დაზგა-დანადგარი.

გასულ წელს ტრაქტორები კვანძური მეთოდით შეაკეთეს ულიანოვკის, წითლის, ლაგოდეხის, თელეთის, ასურეთის, ველისციხის, საგარეჯოს, თელავის და სხვა მტს-ების.

ულიანოვკის მტს-ში დიდი ხნით ადრე შეუდგნენ კვანძური მეთოდით რემონტისათვის მზადებას. ნთავარმა ინჟინერმა სახელოსნოს გამგესთან და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან ერთად დაამუშავა რემონტის ტექნოლოგიური სქემა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ამ სქემის მიხედვით მოამზადა 27 სამუშაო ადგილი. სახელოსნო დააკომპლექტეს საქმის მცოდნე მაღალკვალიფიციური კადრებით და კარგად მოამზადეს სამარჯვებითა და იარაღებით.

სამუშაო ადგილებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მუშები, რომლებმაც კარგად აითვისეს რემონტის ტექნოლოგია.

რემონტის კვანძური მეთოდის დანერგვის შედეგად ულიანოვკის მტს-ში ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები დროულად და კარგად შეაკეთეს. ამის გამო ტრაქტორები სრული დატვირთვით გამოიყენეს. მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა მიმდინარე წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ასევე კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს წითლის, თელეთის და სხვა მტს-ებმა.

ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელები რემონტის ამ ახალი მეთოდის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ეს შეიძლება ითქვას ზნაურის, ბადიაურის, ტიბაანის, ქედის, ენისლის და მთელ რიგ სხვა მტს-ებზე, რომლებსაც ტექნიკით კარგად აღჭურვილი და სულიერ ტიპური სახელოსნოები აქვთ; ისინი ჯერ კიდევ არ გადასულან ტრაქტორების კვანძური მეთოდით რემონტზე.

ამოცანა ის არის, რომ ყველა მტს-ში დავნერგოთ ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი, ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეკეთებულთ დავალება ამ დარგში. მტს-ების ინჟინერ-მექანიზატორებმა სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ რემონტზე მომუშავეებს პროგრესული ღონისძიებების უნაკლოდ განხორციელებაში.

ა. რუხაძე,
ინჟინერ-მექანიზატორი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რემონტისა და ექსპლოატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ქვეყნების თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. **სურათზე:** სხდომათა დარბაზში.

ფოტო ნ. პეტროვისა.

ევროპის ქვეყნების თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

მოსკოვი, 30 ნოემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მეორე სხდომა ევროპის ქვეყნების თათბირისა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. თავმჯდომარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური იოზეფ ცირანკევიჩი.

განსახილველ საკითხზე პირველმა გააკეთა განცხადება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვილიამ შიროკიმ.

ისტორიის გამოცდილებამ, თქვა მან, ჩეხოსლოვაკიის ხალხს ასწავლა, რომ თვითეული თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესები მოითხოვენ მთელი ძალებით გაუწიოს წინააღმდეგობა ცდებს აღადგინონ მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიაში და შეიყვანონ დასავლეთი გერმანია დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოთა აგრესიულ დაჯგუფებებში. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა უშინაგნოდ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე თათბირის მოწვევის შესახებ.

შეეხო რა დასავლეთის იმ სახელმწიფოთა პოლიტიკას, რომლებიც დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და აგრესიულ ბლოკებში მისი შეყვანის ორგანიზატორები არიან, ვ. შიროკიმ აღნიშნა, რომ ამ სახელმწიფოებმა არათუ არ გამოიჩინეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ სრულიად ევროპის თათბირში, არამედ უფრო მეტიც, უშუალო და აშკარა ზეგავლენას ახდენდნენ სხვა სახელმწიფოებზე, რათა ხელი შეეშალათ თათბირის მოწვევისათვის. ამით მათ სავსებით ცხადყვეს, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების მტრები არიან და დაადასტურეს თავიანთი განზრახვა კვლავაც განაგრძონ დამღუპველი პოლიტიკა „ძალის პოზიციისა“, რომლის მკაფიო გამოხატულებაა სწორედ პარიზის შეთანხმებანი. ეს შეთანხმებანი, თქვა მან, შეუძლებელს ხდიან გადაჭრას ევროპის უშიშროების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი — გერმანიის საკითხი.

ვ. შიროკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, როგორც გერმანიის უშუალო მეზობელი, განსაკუთრებით დაინტერესებულია იმით, რომ გერმანიის საკითხი გადაწყდეს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე, რადგან ჩეხოსლოვაკიის ხალხებს მოვლენებით მდიდარი თავიანთი ისტორიის მანძილზე არაერთხელ განუცდიათ აგრესია გერმანიის მილიტარიზმის მხრივ, რომელიც მუდამ იყო ჩეხოსლოვაკიის მოსისხლე მტერი. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთი პირველი გახდა მსხვერპლი გერმანელ ნაცისტთა და მილიტარისტთა მისწრაფებისა მსოფლიო ბატონობისაკენ. მიუნხენის ტრაგედია, როცა დასავლეთის რეაქციულმა წრეებმა მსხვერპლად მიიტანეს ჩეხოსლოვაკიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მომავალში მთელი მსოფლიოსათვის გახდა გაფრთხილება, თუ რა მოსდევს აგრესორთან შემარიგებლობის პოლიტიკას, რა შედეგებს იწვევს გერმანიის მილიტარიზმთან შემთანხმებლობა.

ვ. შიროკიმ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტა არასოდეს არ დაუშვას, რომ მისი ქვეყანა კვლავ გახდეს გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის მსხვერპლი. ამ გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა ჩეხოსლოვაკიის ხალხმა სავსებით დაუჭირა მხარი დიდი სახელმწიფოების პოტსდამის შეთანხმებებს, რომლებშიც ამ სახელმწიფოებმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში მძლავრ ანტიფაშისტურ კოალიციას შეადგენდნენ, გამოთქვეს მიზნები თავიანთი ომისშემდგომი პოლიტიკისა გერმანიის მიმართ. 1945 წლიდან ჩეხოსლოვაკია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხელი შეეწყო გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის პოტსდამის შეთანხმებათა შესაბამისად.

მაგრამ, განაგრძო ვ. შიროკიმ, დასავლეთის სახელმწიფოებმა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გერმანიის დღემდე არხებულ გათიშვაში და რომლებიც დაადგნენ დასავლეთ გერმანიაში გერმანული იმპერიალიზმის, ნაციზმისა და მილიტარიზმის აღორძინების გზას, უღალატეს პოტსდამში მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ვ. შიროკიმ აღნიშნა, რომ ამას მოწმობენ პარიზის შეთანხმებანი. დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა დასავლეთ გერმანიაში და განსაკუთრებით პარიზის შეთანხმებანი აბუჩად აგდებაა პოტსდამის დეკლარაციის იმ ნაწილისა, მათთვისაც სავალდებულო ნაწილისა, რომელშიც ნათქვამია: „გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილ იქნება, და მოკავშირეები, ერომანეთთან თანხმობით, ამჟამად და მომავალში, მიიღებენ სხვა ზომებსაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გერმანია ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს და მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში“.

ვ. შიროკიმ თქვა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია აგრესიის გზას გაუხსნიდა დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნა, საბჭოთა წინადადებების თანახმად, ევროპის ყველა ქვეყნის, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის უზრუნველყოფისა და უშიშროების განმტკიცების მომასწავებელი იქნებოდა. მან ხაზგასმით აღნიშნა: იმისათვის, რომ განხორციელდეს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის იდეა— ევროპის ყველა ხალხისათვის ძვირფასი და მახლობელი იდეა — სავსებით აუცილებელია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ერთხელ და სამუდამოდ უარყონ დამღუპველი პოლიტიკა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და პარიზის შეთანხმებათა პოლიტიკა.

მოაგონა რა სხდომას, რომ ჩეხოსლოვაკიამ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან დადო მოკავშირეობის ხელშეკრულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველმხრივ ურთიერთდახმარებას გერმანიის მილიტარიზმის ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ ან ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც შეუკავშირდება მას ევროპაში აგრესიული მოქმედებისათვის, ვ. შიროკიმ თქვა:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა იმ აზრისაა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, რომელთა პირდაპირი შედეგი იქნებოდა გერმანიის მილიტარიზმის ძველი პოლიტიკის — „დრანგ ნახ ოსტენის“ განახლება, უთუოდ მოითხოვდა, რომ თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა საერთო ღონისძიებანი მიიღონ თავიანთი უშიშროების გაძლიერებისა და უზრუნველყოფისათვის. იმის შედეგად, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიული სამხედრო ძალების შექმნის მომასწავებელი იქნებოდა, ამ ძალების ბირთვი კი იქნებოდა დასავლეთ გერმანიის ვერმახტი, და რომ ამ სამხედრო ძალებს უწინარეს ყოვლისა გამოიყენებდნენ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ შეშფოთებაში თათბირის მონაწილე ქვეყნებს შორის შეთანხმებულ იქნას მათი შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და კოორდინაციის, მათი ერთიანი სარდლობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, განაგრძო ვ. შიროკიმ იმ შეხედულებას ადგას, რომ მილიტარიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში და დასავლეთ გერმანიის აგრესიული არმიის შექმნა უწინარეს ყოვლისა საფრთხეს შეუქმნის ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ თუ პარიზის შეთანხმებანი დაამტკიცეს, განსაკუთრებით ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა, ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო ინტერესების საფუძველზე, მიიღონ ეფექტიანი საერთო ღონისძიებანი თავიანთი საზღვრების უზრუნველსაყოფად.

დასასრულ ვ. შიროკიმ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის სახელით რწმენა გამოთქვა, რომ ახლანდელი თათბირი შეასრულებს თავის მისიას, როგორც ამას მისგან მოელიან ჩეხოსლოვაკიის ხალხი და ევროპის და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხები.

შემდეგ გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

მან თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებებმა და მათი სასწრაფოდ დამტკიცების განზრახვამ შექმნა ახალი საშიში მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს მიღებულ იქნას სასწრაფო გადაწყვეტილებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის.

გერმანია, განაცხადა მან, არასოდეს აღარ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს თავისი მეზობლებისათვის. ყველა სხვა ხალხთან მეგობრობის ძიებაში ერთიანმა და დამოუკიდებელმა გერმანიამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ოჯახში. გერმანელ ხალხს მშვიდობა სურს თავისთვის და ყველა ხალხისათვის. მაგრამ გერმანელი ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთა მშვიდობიან გადაწყვეტას ხელს უშლიან პარიზის შეთანხმებანი. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და განხორციელება გზას გადაუღობავს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას.

გროტეოლმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და ცალმხრივი სამხედრო ბლოკების შექმნაში მისი მონაწილეობა ომის გზაზე აყენებს მას. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიაში დაიწყო იმპერიალისტური მილიონიანი არმიის შექმნა ჰიტლერელი გენერლების სარდლობით. პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს აძლევენ იმის უშუალო შესაძლებლობას, რომ შექმნან ვერმახტი და შეაიარაღონ იგი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით.

შეეხო რა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი წრეების მტკიცებას, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება ამჟამად „ნაკლებად საშიშია“, რადგან იგი ამერიკის უმაღლეს სარდლობას ექვემდებარებაო, გროტეოლმა თქვა: როგორც გერმანიის მილიტარიზმის ისტორია გვიჩვენებს, ამ მილიტარიზმის „კონტროლის“ ან „შეზღუდვის“ ყველა ცდა იფუშებოდა და კვლავაც ჩაიფუშება.

გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა ბონელი მილიტარისტების იმ მტკიცების სიყალბე, რომ მომავალი ვერმახტი თითქოს თავდაცვის საქმეს ემსახურება. ბონის სახელმწიფოს პოლიტიკა, თქვა მან, აშკარად განისაზღვრება ამერიკელი და გერმანელი მილიტარისტების „ძალის პოლიტიკით“, აგრესიული მილიტარისტული მიზნებით. მაგრამ, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, „ძალის პოლიტიკა“ თავიდანვე განწირულია ჩასაფუშავად, რადგან იგი მიმართულია გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, სხვა ხალხთა უშიშროების წინააღმდეგ და იწვევს ყველა ხალხის წინააღმდეგობას, რომლებსაც იგი საფრთხეს უქმნის. ძალთა თანაფარდობა გერმანიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, იცვლება მშვიდობისმოყვარე ძალთა სასარგებლოდ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მიაჩნია: თვით ის ფაქტი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ ძალებს წარმოადგენს, მონაწილეობას იღებს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ისტორია არ მეორდება.

გროტეოლმა განიხილა პარიზის შეთანხმებანი და ცხადყო სიყალბე ადენაუერის მთავრობის და მის ამერიკელ ფარულ ხელმძღვანელთა მტკიცებისა იმის შესახებ, რომ პარიზის შეთანხმებანი თითქოს ნიშნავენ ოკუპაციის დასასრულს და უბრუნებენ დასავლეთ გერმანიას სუვერენიტეტს. პარიზის შეთანხმებანი არ აძლევენ დასავლეთ გერმანიას არც თავისუფლებას, არც სუვერენიტეტს. ისინი ემსახურებიან გერმანიის გათიშვის დამკვიდრებას, აბრკოლებენ გერმანელთა შორის ურთიერთგაგებას და აძლევენ გერმანელ და ამერიკელ მონოპოლისტებს რემილიტარიზაციის მათი გეგმების განხორციელების გარანტიას.

პარიზის შეთანხმებებს, განაცხადა გროტეოლმა, იურიდიული ძალა არა აქვთ, რადგან ეს შეთანხმებები დაიდო გერმანელი ხალხის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ და მიმართულია მისი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. გერმანელი ხალხი არასოდეს არ ცნობს ამ შეთანხმებებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მათი განხორციელება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ გერმანიის საკითხი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი დემოკრატიული გზით ისე, რომ გერმანელ ერს შესაძლებლობა მიეცეს თავისუფლად გამალოს თავისი შემოქმედებითი ძალები და სამუდამოდ მოსპოს შეშფოთების ეს კერა ევროპის გულში.

გერმანიის გაერთიანება, განაგრძო გროტეოლმა, მოითხოვს, რომ ყველა ღონისძიება ვიხმაროთ, რათა ერთმანეთს დავუახლოოთ გერმანიის ორივე ნაწილი. თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირები და მათ შორის ურთიერთგაგება არ იქნა, ისე გაერთიანება შეუძლებელია. გროტეოლმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არ აყენებს არავითარ წინასწარ პირობას დასავლეთ გერმანიასთან მოლაპარაკებისათვის. იგი მზად არის გერმანიის ერთიანი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მომზადების დროს მხედველობაში მიიღოს ვაიმარის კონსტიტუცია და გამოიყენოს ვაიმარის რესპუბლიკის დადებითი გამოცდილება, აგრეთვე ის გამოცდილება, რომელიც შეძენილია სახელმწიფო მშენებლობის დროს გერმანიის აღმოსავლეთსა და დასავლეთში ომისშემდგომ წლებში.

აღნიშნა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მზადყოფნა ყოველ დროს აწარმოოს მოლაპარაკება თავისი იმ არაერთგზისი წინადადების გამო, რომ დაიდოს შეთანხმება ყველა სახეობის პოლიციის რიცხობრივი შემადგენლობის, დისლოკაციისა და შეიარაღების შესახებ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში, გროტეოლმა უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მტკიცება მის 29 ნოემბრის ნოტაში იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ხელახლა იარაღდება. ეს, თქვა გროტეოლმა, სიცრუეა, რომელიც უფრო დასაჯერებელი როდი ხდება იმით, რომ მას იმეორებენ. ეს იგივე მეთოდია, რომლის საშუალებითაც ჰიტლერი უკვე ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი შეიარაღება და საომარი მზადება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, თქვა გროტეოლმა, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს ამ თათბირზე: თუ დასავლეთ გერმანიაში აღდგენილ იქნა მილიტარიზმი და შეიქმნა რეგულარული არმია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იძულებული გახდება შექმნას ამის პასუხად ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომლებსაც უნარი ექნებათ დაიცვან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მშვიდობიანი ნაღწევები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, განაგრძო გროტეოლმა, იზიარებს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობათა აქ ჩამოყალიბებულ აზრს იმის შესახებ, რომ აქ დამსწრე სახელმწიფოებმა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და განხორციელების შემთხვევაში უნდა მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი, რათა დაიცვან თავიანთი ხალხების მშვიდობიანი შრომა, თავიანთი სახელმწიფო ტერიტორიების ხელშეუხებლობა, რათა მოიგერიონ ყოველი აგრესია და უზრუნველყონ მშვიდობა ევროპაში. ჩვენ ვეთანხმებით აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას, რომ პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შემთხვევაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლებსაც განსაკუთრებით ემუქრება საფრთხე, შეთანხმდნენ ერთობლივ ღონისძიებებზე.

გროტეოლმა შემდეგ განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა, მთავრობა და გერმანელი ხალხის უმრავლესობა მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის წინადადებას ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. მან რწმენა გამოთქვა, რომ კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს აგრეთვე გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მეგობრული ურთიერთობა აქვს თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებთან და ცდილობს განავითაროს ეს ურთიერთობა. განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მთელი გერმანელი ხალხის ეროვნული საარსებო ინტერესია.

ო. გროტეოლმა თავისი განცხადების დასასრულს მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ თათბირის გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ გერმანელ ხალხს განახორციელოს გერმანიის გაერთიანება მშვიდობიანი დემოკრატიული გზით და უზრუნველყოს თავისი მშვიდობიანი მომავალი.

მას შემდეგ, რაც გროტეოლმა დაამთავრა თავისი განცხადება, სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 1 დეკემბრისათვის. (საკადესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

1954 წლის 1 დეკემბრის მესამე სხდომის შესახებ

1 დეკემბერს გაიმართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირის მესამე სხდომა. თავმჯდომარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

სხდომაზე მოისმინეს ალბანეთის დელეგაციის მეთაურის ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მანუშ მუფტიუს განცხადება, რუმინეთის დელეგაციის მეთაურის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კივუ სტოიკას განცხადება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჯან ვენ-ტიანის განცხადება, უნგრეთის დელეგაციის მეთაურის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანდრაშ ჰეგედიუშის განცხადება და ბულგარეთის დელეგაციის მეთაურის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანტონ იუგოვის განცხადება.

შემდეგი სხდომა გაიმართება 2 დეკემბერს დილის 10 საათზე.

ამ სხდომაზე განიხილავენ სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციის პროექტს.

უნგრეთის აღგილობრივი საბჭოების არჩევნების ნაწილობრივი შედეგები

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ცენტრალური საარჩევნო პრეზიდიუმის ცნობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ნაწილობრივი შედეგების შესახებ.

ამ ცნობის თანახმად, ბუდაპეშტის 1.401 საარჩევნო ოლქში (2.948 ოლქიდან) კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 603.134 ამომრჩეველმა (614.699 ამომრჩეველიდან). ამასთან სამმუნლო სახალხო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 595.896 კაცმა.

სასოფლო საბჭოების არჩევნების 80.211 საარჩევნო ოლქიდან ხმების დათვლა დამთავრდა 59.778 ოლქში. ამ ოლქებში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.389.004 კაცმა. სამმუნლო სახალხო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 2.326.668 კაცმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის პირველი სხდომა

ბერლინი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის პირველი სხდომა. ამ პალატაში შედის სოფლო სახალხო კრებების 50 წარმომადგენელი და დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის 13 წარმომადგენელი.

როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, მხარეთა პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთსულოვნად ხელახლა აირჩიეს დოქტორი რ. ლობედანცი (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი).

მხარეთა პალატამ თავის სხდომაზე მოიწონა სახალხო პალატის მიერ მიღებული კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

გერმანელი ხალხის ერთიანობისათვის!

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა დიდი ბერლინის დემოკრატიული მაგისტრატის შექმნის მეექვსე წლისთავს. კრებას დაესწრო ბერლინის მშრომელთა 6 ათასი წარმომადგენელი, მათ შორის დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის 2 ათასი წარმომადგენელი.

დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრის მოადგილემ ვალდემარ შმიდტმა გამოაქვეყნა მისასალმებელი წერილი, რომელიც დიდი ბერლინის მაგისტრატმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკისაგან.

ვილჰელმ პიკი წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაშინ როცა დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში რეაქცია ააქტიურებს თავის ძალებს, რათა მოამზადოს ახალი ომი, დიდი ბერლინის მაგისტრატი მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკით, რომლის მიზანია გერმანელებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა, გერმანიისა და მისი დედაქალაქის ბერლინის ერთიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით.

წერილის დასასრულს ვილჰელმ პიკი დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობასა და მაგისტრატს უსურვებს შემდგომ წარმატებებს მათს მუშაობაში ბერლინის მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ვალდემარ შმიდტმა.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფმა პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსულმა ხალხურმა გუნდმა და ბერლინის თეატრების მსახიობებმა.

ბირმის პრემიერ-მინისტრი ხანოიში

პეკინი, 30 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ 29 ნოემბერს ჩავიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ხანოიში. დარბაზობის შემდეგ, რომელიც პრეზიდენტმა ხო ში მინმა ბირმის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად მოაწყო, გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დამთავრების შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ გამოაქვეყნეს შემდეგი კომუნიკე:

„დღეს პრეზიდენტ ხო ში მინი და პრემიერ-მინისტრი უ ნუ ერთმანეთს შეხვდნენ და განიხილეს სხვადასხვა საკითხები, რომლებიც აინტერესებს როგორც ვიეტნამს, ისე ბირმას.

პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს აინტერესებდათ პრობლემა ინდოჩინეთში მშვიდობის განმტკიცებისა, რაც შესაძლებლობას მისცემდა ინდოჩინეთის ქვეყნებს დამოუკიდებლად ეარსებნათ აყვავების პირობებში, გარედან ჩაურევლად, და ხელი შეეწყოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში.

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი აღნიშნავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ბირმის კავშირის მთავრობის შეხედულებათა სრულ ერთიანობას იმ ხუთი პრინციპის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩინეთისა და ინდოეთის და ჩინეთისა და ბირმის ერთობლივ განცხადებებში, და ფიქრობენ, რომ იგივე პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნას ვიეტნამსა და ბირმას შორის ურთიერთობაში ისევე, როგორც დანარჩენი ქვეყნების ურთიერთობაში.

პრეზიდენტი ხო ში მინი და პრემიერ-მინისტრი უ ნუ იმედს გამოთქვამენ, რომ ვიეტნამისა და ბირმის მეგობრობა განმტკიცდება და რომ ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მჭიდრო იქნება“.

ალჟირის ამბები

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დამსჯელი ოპერაციებს შედეგად 29 ნოემბერს უედ ტაგის მომთმარეობის რაიონში მოკლეს 23 კაცი და ტყვედ წაიყვანეს 15 კაცი.

მთელ რიგ ოპერაციებში აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოიყენეს ფრანგ პარაშუტისტთა რაზმები.

საფრანგეთის ჯარმა ზარალი განიცადა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტის დილისა და დღის სხდომებზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია დასავლეთ ირიანის საკითხზე. იუგოსლავიის, ბოლივიის, ეგვიპტის, არგენტინის, ლიბანის, საუდის არაბეთისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ ამ საკითხზე განახლდეს მოლაპარაკება ჰოლანდიასა და ინდონეზიას შორის, როგორც ამას ითვალისწინებს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ინდონეზიის დელეგაციამ წარადგინა. ამასთან ბოლივიის, ლიბანის, საუდის არაბეთისა და ინდოეთის დელეგატებმა ენერგიულად დაუჭირეს მხარი ინდონეზიის პოზიციას სადავო საკითხის არსის გამო.

ბოლივიის წარმომადგენელმა კიროგა გალდომ, კერძოდ, განაცხადა, რომ ბოლივიელი ხალხი, რომელიც ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და განაგრძობს ბრძოლას თავისი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, „ყოველი სახის კოლონიალიზმის წინააღმდეგია“, და რომ ამიტომ ბოლივიის დელეგაცია ხმას მისცემს ინდონეზიის რეზოლუციას.

ინდოეთის დელეგატმა მენონმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთი ირიანი ინდონეზიის განუყოფელი ნაწილია და რომ ჰოლანდიის ხელისუფლება ამ ტერიტორიის მიმართ ეწყარება მხოლოდ და მხოლოდ კოლონიურ მიტაცებას და ვერავითარი არგუმენტით ვერ გამართლდება.

ბრაზილიის წარმომადგენელმა, რომელმაც გაიზიარა ჰოლანდიისა და ავსტრალიის დელეგაციათა ზოგიერთი არგუმენტი, მხარი დაუჭირა იმას, რომ ეს საკითხი გადაწყდეს ორ დაინტერესებულ ქვეყანას შორის შოლაპარაკების გზით. მაგრამ მან გააკეთა შენიშვნა, რომ ეს მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს „ჩვეულებრივი დიპლომატიური არხების საშუალებით“, ე. ი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაუხმარებლად. დომინგოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, რომ დავა დასავლეთ ირიანის შესახებ განსახილველად გადასცენ საერთაშორისო სასამართლოს, თუმცა, როგორც ეს გარკვევით ცხადყო დისკუსიამ პოლიტიკურ კომიტეტში, დავა დასავლეთ ირიანის შესახებ უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური საკითხია. ეს წინადადება, ისევე როგორც ბრაზილიის დელეგაციის პოზიცია, ასახავს მისწრაფებას ჩამოაშორონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საკითხის გადაწყვეტას.

ავსტრალიის წარმომადგენელი სპენდერი კვლავ ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა თითქოს უფლებამოსილი არ იყოს განიხილოს დასავლეთ ირიანის საკითხი, რამდენადაც, მისი სიტყვით, ეს ჰოლანდიის „საშინაო საქმეა“. მან განაცხადა, რომ ავსტრალიის დელეგაცია ხმას მისცემს ინდონეზიის რეზოლუციის წინააღმდეგ. საერთო დისკუსიაში უკანასკნელმა ილაპარაკა ჰოლანდიის წარმომადგენელმა ვან ბელულსკმა. მისმა სიტყვამ ცხადყო, რომ ჰოლანდიას არა სურს განაახლოს მოლაპარაკება ინდონეზიასთან და განზრახული აქვს შეინარჩუნოს თავისი ბატონობა დასავლეთ ირიანის მიმართ. „ორ ქვეყანას შორის შეუძლებელია რაიმე კომპრომისი“, — განაცხადა მან.

ხვალ პოლიტიკური კომიტეტი შეუდგება ინდონეზიის რეზოლუციის პროექტის განხილვას.

გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა 30 ნოემბერს დაიწყო „ახალი ომის პროპაგანდის აკრძალვის“ საკითხის განხილვა, რომელიც გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ. ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. სეკანინოვამ.

30 ნოემბრს მეურვეობის კომიტეტმა დაამთავრა მეურვეობის საბჭოს მოხსენების განხილვა და მიიღო ამ საკითხზე რეზოლუცია. ხმების უმრავლესობით, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და სხვა დელეგაციების ხმებით კომიტეტმა მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეეხება სამეურვეო ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობას მეურვეობის საბჭოს მუშაობაში, აგრეთვე რეზოლუციის პროექტი სამეურვეო ტერიტორიების მიერ თვითმმართველობის ან დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ. რეზოლუციის ამ პროექტების წინააღმდეგ ხმა მისცეს მმართველი ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა. თავიანთი ხმის მიცემით მათ კვლავ ცხადყვეს, რომ არა სურთ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობაში მყოფი ტერიტორიებისათვის თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

მეურვეობის კომიტეტი შეუდგა თავისი დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას: „ტოგოს იმ ტერიტორიების გაერთიანების შესახებ, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის მმართველობაშია“.

შინაპოლიტიკური კრიზისი იაპონიაში

შანხაი, 1 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის რადიოს ცნობით, გუშინ ტოკიოში გაიხსნა იაპონიის პარლამენტის მე-20 საგანგებო სესია. სესიის განსახილველად შეტანილია დამატებითი ბიუჯეტის პროექტი და ოცზე მეტი სხვა კანონპროექტი.

პარლამენტის სესია დაიწყო იაპონიის სულ უფრო გაღრმავებული შინაპოლიტიკური კრიზისის ვითარებაში. ყველა ოპოზიციური პარტია მწვავედ აკრიტიკებს იოსიდას კაბინეტის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და განსაკუთრებით მის პოლიტიკას დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან იაპონიის ურთიერთობის საკითხში.

სესია გაიხსნა იოსიდას მთავრობისათვის არაჯელსაყრელ ვითარებაში, რადგან ახლა მმართველ ლიბერალურ პარტიას პარლამენტში აღარ ჰყავს უმრავლესობა (ლიბერალური პარტიიდან „იაპონიის დემოკრატიულ პარტიაში“ დეპუტატთა ჯგუფის გადასვლის შემდეგ ლიბერალებს ქვედა პალატაში აქვთ მხოლოდ 185 მანდატი 466 მანდატიდან).

პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც იოსიდას კაბინეტი ხვდება, სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიები აპირებენ ამ სესიაზე შეიტანონ რეზოლუცია მთავრობისადმი უნდობლობის შესახებ, რასაც პარლამენტში პოლიტიკური ძალების ახლანდელი თანაფარდობის დროს შეუძლია გამოიწვიოს იოსიდას მთავრობის დაცემა.

როგორც ტოკიოს რადიოს ცნობებიდან ჩანს, იოსიდა გუშინ პარლამენტში თავის სპარგარამო სიტყვაში ყოველნაირად ცდილობდა გაამართლებინა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. იგი ცდილობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამასწინანდელი თავისი გამგზავრების შედეგები დეხატა როგორც „ნაყოფიერი და დიდი დამარცხება განიცადა ადენაუერის პარტიამ — ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა, რომელმაც ბუნდესტაგის არჩევნებთან შედარებით დაკარგა 245 ათასი ხმა. მაშინ როცა 1953 წელს ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა მოაგროვა ხმების 33,2 პროცენტი, ახლანდელ არჩევნებში მან მიიღო ხმების 24,1 პროცენტი.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკის მომხრეები ბავარიაშიც დამარცხდნენ, ამასთან სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა, ისევე როგორც ჰესენში, გაცილებით უფრო მეტი ხმა მოაგროვეს, ვიდრე ბუნდესტაგის არჩევნებში 1953 წელს.

წინასწარი ცნობებით, ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა — ადენაუერის დასაყრდენმა — დაკარგა $^1/_5$-მდე ხმები ბუნდესტაგის არჩევნებთან შედარებით. ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა მიიღო ხმების 38 პროცენტი 1953 წელს მიღებული 47,9 პროცენტის ნაცვლად.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, პირიქით, შეიძინა დაახლოებით ამდენივე ხმა. მას ხმა მისცა 2.733 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა, ესე იგი კენჭისყრის მონაწილეთა 28,1 პროცენტმა (წინა არჩევნებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოაგროვა ხმების 23,3 პროცენტი).

გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო $^1/_4$-ით მეტი ხმა, ვიდრე 1953 წლის არჩევნებში. მას ხმა მისცა 205 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა ანუ კენჭისყრის მონაწილეთა 2,1 პროცენტმა, მაშინ როცა წინა არჩევნებში მან მოაგროვა ხმების 1,6 პროცენტი.

ჰესენისა და ბავარიის არჩევნებმა ცხადყო, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასები გამოდიან ბონის ადენაუერის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გერმანიის გათიშვის გაღრმავება, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

ადენაუერის პარტიის დამარცხება

არჩევნების წინასწარი შედეგები ბავარიასა და ჰესენში

ბერლინი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დასავლეთ გერმანიის მხარეებში ბავარიასა და ჰესენში გაიმართა ლანდტაგების (ადგილობრივი პარლამენტები) არჩევნები. ამ არჩევნების შედეგებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნდესრატმა (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მეორე პალატა) ახლო მომავალში უნდა განიხილოს პარიზის შეთანხმებანი.

ჯერ კიდევ არჩევნების წინ დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთები გამოთქვამდნენ შიშს, რომ არჩევნებმა შეიძლება ახალი ლაზარი ჩასცეს ადენაუერის სამხედრო გეგმებს.

არჩევნებმა ცხადყო, რომ პარტიებმა, რომლებიც მხარს უჭერენ გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და უარყოფენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას, — კომპარტიამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღეს გაცილებით უფრო მეტი ხმა, ვიდრე ბუნდესტაგის 1953 წლის არჩევნებში.

ყოველგვარი დაბრკოლებისა და დევნის მიუხედავად, გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ჰესენში წარმატებას მიაღწია არჩევნებში. წინასწარი ცნობებით, რომლებიც დპა-ს სააგენტომ გამოაქვეყნა, კომპარტიამ ბუნდესტაგის არჩევნებთან შედარებით მოაგროვა 20 ათასი ხმით მეტი. მან მიიღო ხმების 3,4 პროცენტი 1953 წელს მიღებული 2,5 პროცენტის ნაცვლად. მაგრამ რეაქციული „საარჩევნო კანონი“ საშუალებას უსპობს კომპარტიას მიიღოს ადგილები ლანდტაგში.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, იმავე ცნობებით, მიიღო 202 ათასი ხმით მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოაგროვა ხმების 42,6 პროცენტი (ბუნდესტაგის არჩევნებში მას ჰქონდა ხმების 33,7 პროცენტი).

სპორტის ამბები

ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის პირადგუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მოჭიდავეთა ნაკრებმა კოლექტივებმა.

პირად ასპარეზობაში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ: უმძიმესს წონაში — გორაევი (რსფსრ), მძიმე წონაში — სვირიდოვი (უკრაინა), ქვემსუბუქ წონაში — ტერიანი (აზერბაიჯანი), მსუბუქ წონაში — პუნკინი (უკრაინა), ქვესაშუალო წონაში — მანეევი (რსფსრ), საშუალო წონაში — კარტოზია (საქართველო), ქვეძმიმე წონაში — ნიკოლაევი (რსფსრ), მძიმე წონაში — პარფენოვი (მოსკოვი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რსფსრ პირველმა გუნდმა.

სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

წელს საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართება ლენინგრადში. ეს შეჯიბრება მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი მაჩაბრიანი ასპარეზობა იქნება. გუნდური პირველობა გათამაშდება უფლებათა შორის. საკავშირო ჩემპიონატში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს 80-მდე სპორტსმენი. მათ შორის იქნებიან: მსოფლიოს ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ცომაკურიძე, მ. ცალქალამანიძე, ვ. გიგოძე, ნ. მუზაშვილი, შ. დაუშვილი, ო. კანდელაკი და სხვ.

საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივები ლენინგრადში გაემგზავრნენ. საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 5 დეკემბერს დაიწყება და 5 დღეს გაგრძელდება.

თასის მოსაპოვებლად

სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. გარდამავალი ჯილდოსათვის მეჩრმოლთა რიგებს ოთხი გუნდი შერჩა.

რუსთაველის „მეტალურგმა“ მეოთხეფინალში დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი ანგარიშით 3:2 და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა, რომელმაც მოუგო ბათუმის „დინამოს“ 4:2. დანარჩენ ორ მეოთხეფინალში მონაწილეთა გამოუცხადებლობის გამო გამარჯვება მიაკუთვნეს ქუთაისის „დინამოსა“ და სტალინირის „სპარტაკს“.

ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 2 დეკემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან ქუთაისის „დინამოსა“ და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, აგრეთვე რუსთაველ „მეტალურგისა“ და სტალინირის „სპარტაკის“ გუნდები.

ფინალური შეჯიბრება გაიმართება 5 დეკემბერს თბილისში.

ველოკროსი — „თბილისის რაალი“

30 ნოემბერს თბილისში გაიმართა ტრადიციული ველოკროსი — „თბილისის რაალი“ გაზეთ „მოლოდი სტალინეცის“ ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის უძლიერესმა ველომრბოლებმა. სტარტი და ფინიში გამართული იყო რეაქციის შენობასთან. სპორტსმენებმა გაიარეს ქალაქის ცენტრალური ქუჩები. ფინიშთან პირველი მივიდა დინამოელი კ. შენგელია. მეორე ადგილი დაიკავა გ. ჯოხაძემ („სპარტაკი“), მესამე — ე. ჯიშელიანშვილმა („ნაუკა“).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს“ ველომრბოლთა კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

თბილისი

ქალაქის ტრანსპორტი

სამეცნიერო სესია

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია.

სესიის პირველი დღის სხდომაზე მოსმენილ იქნა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მ. დუდუჩავას მოხსენება თემაზე „ვ. ი. ლენინი და ლიტერატურის თეორიის საკითხები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ა. ბარამიძის მოხსენება „ხალხთა მეგობრობის იდეა ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის პოემების მიხედვით“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. აბზიანიძისა — „ნიკო ნიკოლაძე რუსული ლიტერატურის დიადი ტრადიციების შესახებ“.

მეორე დღის სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა კ. კეკელიძემ თემაზე — „თამარიანის“ ერთი ადგილის გაგების საკითხისათვის“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა კრიტიკოსმა ბ. ელენტმა — „ხალხთა მეგობრობის იდეა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ და ა. ხინთიბიძემ „კონფლიქტისა და ტიპიურობის საკითხისათვის ლირიკაში“.

50 წელი თეატრში

ამ დღეებში თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ი. ალექსანდროვის შემოქმედებითი საღამო მისი თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ნაჩვენები იყო პიესა „ღელი ტურბინებისა“.

ა. ალექსანდროვმა თავისი მოღვაწეობიდან 40 წელი გაატარა საქართველოში და გრიბოედოვის სახელობის თეატრში მუშაობს დღიდან მისი დაარსებისა.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 3 და 4 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 10-15 გრადუსი სითბო. მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ალგა-ალაგ მცირე ნალექი. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

საახალწლო ნაძვისხისათვის

დაიწყო ბავშვთა საყვარელი დღესასწაულისათვის — საახალწლო ნაძვისხისათვის საფიქრალის გაყიდვა.

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის პირველ სართულში მოწყობილია სპეციალური განყოფილება. აქ დგას დიდი სანიმუშო ნაძვისხე. განყოფილებაში იყიდება ყველაფერი, რაც საჭიროა ნაძვისხის გასაწყობად.

უნივერმაღს მიღებული აქვს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაძვისხის სათამაშოები — თოვლის ბაბუები, ჩრდილოეთის თეთრი დათვები, ვარსკვლავები, დროშები და მრავალი სხვა, აგრეთვე პაწია ელექტრონათურები, სულ 200-მდე სახელწოდების სათამაშოები.

უახლოეს ხანში აქ მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ლვოვის ფაბრიკებში დამზადებულ ნაძვისხის სათამაშოებს, აგრეთვე თბილისის სასკოლო-საკანცელარიო და თვალსაჩინო ხელსაწყოების ფაბრიკაში დამზადებულ თოვლის ბაბუებს.

დიდძალი საახალწლო ნაძვისხის სათამაშოები მიიღო მაღაზია „ბავშვთა სამყარომ“. მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისათვის აქ სპეციალური კოლოფებით იყიდება სათამაშოების კომპლექტები. „ბავშვთა სამყარო“ მრავალ დაკვეთას იღებს სათამაშოებზე საბავშვო ბაღებიდან, ბაგებიდან, სახლებიდან და სკოლებიდან.

სურათზე. ნაძვისხის სათამაშოების განყოფილება თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ა. გ. რუბინშტეინის ხსოვნის საღამო

ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ა. გ. რუბინშტეინის დაბადების 125 და გარდაცვალების 60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კონსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა ი. ტუსკიამ.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ა. გ. რუბინშტეინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა თ. გელაძემ.

სასწავლო-აკადემიურ კონცერტზე კონსერვატორიის სტუდენტებმა შეასრულეს ნაწყვეტები ა. რუბინშტეინის ნაწარმოებებიდან.

რედაქტორი ნ. ჯაში.

გრძელდება ხელმოწერა 1955 წლისათვის

შემდეგ ჟურნალ-გაზეთებზე:

„Агротехсоветы колхозам“
„Зоотехнические и ветеринарные советы колхозам“
„Сельское хозяйство“
„Достижения науки и передового опыта в сельском хозяйстве“

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებო, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო, ბრიგადირებო, აგრონომებო, ზოოტექნიკოსებო და მექანიკოსებო, იყავით სასოფლო-სამეურნეო პერიოდულ გამოცემათა აქტიური ხელისმოწერილები და გამავრცელებლები!

ხელმოწერას იღებენ „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები და საზოგადოებრივი რწმუნებულები.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, ბიბლიოთეკებს, კლუბებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ გაფორმონ ხელმოწერა უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

დროზე გაფორმეთ ხელმოწერა 1955 წლისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

2 დეკემბერს	ბ. ასაფიევი— ბალჩისარაის შადრევანი
3 დეკემბერს	ჯ. ვერდი—ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დიდი ხელმწიფე, მარჯანიშვილის სახელობის — ლეგენდა სიყვარულზე, გრიბოედოვის სახელობის — ვაი ჭკუისაგან, მუსიკალური კომედიის — არმენ მალ-ალან, სომხური დრამის — ტაპატ ამაზასპიანი ღელავს, მოზარდ მაყურებელთა ქართული — მაშენა (პრომენტი № 45), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მეცხრე „ა“ კლასში“ (7 ს.), თოჯინების ქართული — ქაჯანა (10 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — დიდი ოჯახი, კომკავშირელი, კოლხიდა — ავარა (I და II სერია), სპარტაკი — ორი ბიგხი მიწა, თბილისი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — კომედიანტები, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კლუბი — ჭრიჭინა, კოლმეურნე — ჯუნგლი, დიდუბე — მტრის კვალდაკვალ.

სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური სამეცნიერო საზოგადოების „ენციკლოპედიის“ საქართველოს განყოფილების მწვანე მშენებლობის სექცია 2-4 დეკემბერს აწყობს რესპუბლიკურ კონფერენციას, მიძღვნილს მწვანე მშენებლობის საკითხისადმი.

კონფერენცია შედგება საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტროს კლუბში, კამოს ქ. № 37, საღამოს 8 საათზე.

„ენციკლოპედიის“ საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობა.

ოჯახური ფოტოალბომი

ძმა და დავით ოჯახით იუწყება
ელპიტი სიმონის ასულ ღლონტი-მდინარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XII, სოფ. ვაკოჯაურში (მახარაძის რაიონი).

შვილი ლუარსაბ ოჯახით იუწყება
ეკატერინე ლუარსაბის ასულ შარაშიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-XII, 8 ს. დაკრძალვა 5-XII, 2 ს. იაკობ ნიკოლაძის პირველი შესახ. № 7.

შვილები ვასო, ინდიკო ოჯახებით იუწყებიან
ეფროსინე ფილიპეს ასულ მეტრეველის
გარდაცვალებას.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრები იუწყებიან
ნატო ნიკოლოზის ასულ ავაზაშვილის
გარდაცვალებას.

მოქალაქე ქემალ აბას-ოღლი ალასკეროვი